CAUCASUS

SWISS AGRICULTURAL SCHOOL

2024 ANNUAL REPORT | წლის შეჯამება

INITIATOR & DONOR
ინიციატორი & დონორი

WISSENSCHAFT. BEWEGEN
GEBERT RÜF STIFTUNG

CONCEPTUAL PARTNER
კონცეპტუალური პარტნიორი

Powered by Plantahof

DONORS | დონორები

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

bärbel & paul | geissbühler stiftung

FONDATION DES FONDATEURS

UNDP

USAID
ამერიკელი ხალხისგან

Verein zur Förderung der Swiss Agricultural School Caucasus

IFAD

LAND O'LAKES VENTURE 37

BRAUNVIEH

swissgenetics

Food and Agriculture Organization of the United Nations

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

სოფლის განვითარების სააგენტო

LINSI FOUNDATION

Ministry of Environmental Protection and Agriculture of Georgia

DEPARTMENT OF STATE UNITED STATES OF AMERICA

CONTENT/საარჩევი

EDUCATIONAL ACTIVITIES
საგანმანათლებლო საქმიანობა 02

FARM
ფერმა 26

CHEESE DAIRY
ყველის წარმოება 30

MARGALITI
მარგალიტი 34

TEACHERS' HOUSE
მასწავლებელთა სახლი 38

MEDIA PRESENCE
მედია 40

EDUCATIONAL ACTIVITIES

VOCATIONAL EDUCATIONAL PROGRAMS

We have 14 graduates on 2- year vocational programs. By the end of 2024, we have 4 active students enrolled in vocational programs.

With support from Swiss experts, we developed the regulations for qualification exams in 2023. We have been conducting final practical exams according to the Swiss standards for the past two years. On the basis of the final exam, the students are awarded the appropriate qualification and a state diploma.

The low interest of young people in long-term vocational programs is one of the main challenges of the school at this stage. In order to increase interest, on the one hand, we are trying to increase the awareness and popularity of agricultural professions among youth aged 15-18 (see p. 16-17), and on the other hand, we are actively involved in the process of reviewing vocational qualifications and adapting the curriculum, which should make long-term programs more attractive to young people.

საგანმანათლებლო საქმიანობა

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

ჩვენი სკოლის ორწლიან პროფესიულ პროგრამებს უკვე 14 კურსდამთავრებული ჰყავს. 2024 წლის ბოლოსთვის პროფესიულ პროგრამებზე 4 სტუდენტი ირიცხება.

2023 წელს, შვეიცარიელი ექსპერტების ჩართულობით, შევიმუშავეთ საკვალიფიკაციო გამოცდების რეგლამენტი და უკვე ორი წელია შვეიცარიული სტანდარტის მიხედვით ვატარებთ საკვალიფიკაციო გამოცდებს, რომლის საფუძველზეც სტუდენტს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გადაეცემა სახელმწიფო დიპლომი.

გრძელვადიანი პროფესიული პროგრამების მიმართ ახალგაზრდების დაბალი ინტერესი ამ ეტაპზე სკოლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ინტერესის გაზრდის მიზნით, ერთი მხრივ, ვცდილობთ, გავზარდოთ აგრარული პროფესიების ცნობადობა და პოპულარობა 15-18 წლის ახალგაზრდებში (იხ. გვ 16-17), ხოლო, მეორე მხრივ, აქტიურად ვართ ჩართული პროფესიული კვალიფიკაციების გადახედვისა და კურიკულუმის ადაპტაციის პროცესში, რამაც გრძელვადიანი პროგრამები ახალგაზრდებისთვის უფრო მიმზიდველი უნდა გახადოს.

SWISS MASTERCLASSES

In order to support SASC's educational process Swiss experts have been engaged actively. The "knowledge transfer" team conducted frequent on-site visits to monitor the progress, oversee the execution of the long-term courses, and establish guidance and standards. In cooperation with Georgian teachers, Swiss experts conducted sample practical Masterclasses for SASC's long-term students:

- CHEESE DISEASES
- ANIMAL HEALTH WELFARE
- HERD MANAGEMENT
- HERD FERTILITY
- FEED RATIO FORMULATION
- MILK QUALITY IMPROVEMENT AND UDDER HEALTH

შვეიცარიული მასტერკლასები

სკოლის საგანმანათლებლო პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი ჩვენი შვეიცარიელი პარტნიორები. შვეიცარიელ ექსპერტთა ჯგუფები რეგულარულად სტუმრობენ სკოლას, რათა მონიტორინგი გაუწიონ გრძელვადიანი პროგრამების განხორციელების პროცესს და განავითარონ სახელმძღვანელო სტანდარტები. გარდა ამისა, იმისათვის, რომ პრაქტიკული ტრენინგები შვეიცარიული სტანდარტების შესაბამისად განხორციელდეს, შვეიცარიელ ექსპერტთა ჯგუფი რეგულარულად ატარებს მასტერკლასებს სკოლის სტუდენტებისთვის. ამ ტრენინგებში აქტიურად არიან ჩართულნი ქართველი მაღალკვალიფიციური ტრენერებიც - ჩვენი სკოლის პროფესიული მასწავლებლები

- ყველის დაავადებები
- საქონლის ჯანმრთელობა და კეთილდღეობა
- ნახირის მართვა
- ნახირის ნაყოფიერება
- საკვები რაციონების გამოთვლა
- რძის ხარისხის გაუმჯობესება და ცურის ჯანმრთელობა

OUTSIDE PRAXIS

The students have spent several weeks in partner farms / cheese factories. The farming students spent their outside praxis in one of the largest cattle farm in Georgia – Udabno. In order to make the practical time more effective and engaging, the head practice trainer accompanied the students. Under the supervision of the veterinarian, the students attended/participated in the following activities:

• Preventive and therapeutic measures against piroplasmosis
• Vaccination of various animal herds against emcariasis and pasteurellosis
• Treatment of mechanical injuries to the limbs of various types of animals
• Treatment of calves to stop inflammatory processes of the mucous membrane of the eye

After the completion of the practical week, SASC received a very positive feedback from the host farm.

SASC signed a MoU with "Alpuri Oqro" to further develop cooperation in the dairy production sector for sharing experiences regarding the practices and information connected with the regulations for business operations in dairy production. In the scope of the cooperation, SASC dairy student spent an outside practice week in Alpuri Oqro's dairy production facility.

SASC also cooperates with Ltd Santa in terms of organizing outside praxis.

გარე პრაქტიკა

სტუდენტებმა რამდენიმე კვირა გაატარეს პარტნიორ ფერმებსა და ყველის საწარმოებში.

პროგრამა ფერმერის სტუდენტებმა გარე პრაქტიკა საქართველოში ერთ-ერთ უმსხვილეს მესაქონლეობის ფერმაში - ,,უდაბნოში'' გაატარეს. იმისათვის, რომ პრაქტიკა უფრო ეფექტური და საინტერესო ყოფილიყო, სტუდენტებს თან ახლდა პრაქტიკის ხელმძღვანელი. ვეტერინარის მეთვალყურეობის ქვეშ სტუდენტები დაესწრნენ/მონაწილეობა მიიღეს შემდეგ აქტივობებში:

• პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებები პიროპლაზმოზის საწინააღმდეგოდ;
• სხვადასხვა ტიპის ცხოველთა ვაქცინაცია ემკარისა და პასტერელოზის წინააღმდეგ;
• სხვადასხვა სახეობის ცხოველის მექანიკური დაზიანების მკურნალობას კიდურზე;
• ხბოების დამუშავება თვალის ლორწოვანი გარსის ანთებითი პროცესების შესაჩერებლად.

რძის წარმოების სექტორში თანამშრომლობის შემდგომი განვითარების მიზნით სკოლამ გააფორმა მემორანდუმი ''ალპურ ოქროსთან'', მემორანდუმი მიზნად ისახავს გამოცდილების გაზიარებას რძის წარმოების ბიზნეს ოპერაციების რეგულაციებთან დაკავშირებული პრაქტიკისა და ინფორმაციის შესახებ. თანამშრომლობის ფარგლებში, ჩვენმა სტუდენტმა გაატარა გარე პრაქტიკული კვირა ,,ალპური ოქროს'' რძის პროდუქტების საწარმოში.

სკოლა გარე პრაქტიკის კუთხით ასევე თანამშრომლობს შპს სანტასთან.

EXCHANGE PROGRAM IN SWITZERLAND

With support of SDC and UNDP, SASC students accompanied by the educational manager, Sophio Aslanishvili, visited Switzerland for an intensive exchange in September 2024. The students were introduced to the Swiss agricultural system on the example of Plantahof, they received a dairy training in Plantahof cheese dairy, visited several production facilities and were allocated to the mountain cheese dairies for a one-week practical work.

გაცვლითი პროგრამა შვეიცარიაში

შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის ოფისისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, 2024 წლის სექტემბერში ჩვენი სკოლის სტუდენტები, სკოლის მენეჯერის, სოფიო ასლანიშვილის თანხლებით, იმყოფებოდნენ შვეიცარიაში ინტენსიური გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. სტუდენტები პლანტაჰოფის მაგალითზე გაეცნენ შვეიცარიულ სასოფლო-სამეურნეო სისტემას, დაესწრნენ გადამზადების ტრენინგებს პლანტაჰოფის რძის საწარმოში, მოინახულეს სხვადასხვა ქარხანა და გაიარეს ერთკვირიანი პრაქტიკა ალპურ საწარმოებში.

PRACTICAL TRAININGS IN AGRICULTURE

In partnership with USAID's Industry-led skills development program, the school has established six short-term training programs to improve practical skills and increase employment opportunities for farmers and dairy processors. Five of them are authorized by the state, and trainees receive state-recognized certificates.

1. ANIMAL HUSBANDRY
2. FEEDING OF FARM ANIMALS
3. ANIMAL HEALTH
4. CROP PRODUCTION AND AGRICULTURAL MECHANIZATION
5. PASTURE MANAGEMENT AND FORAGE CONSERVATION
6. DAIRY PROCESSING

In 2024 SASC conducted the trainings 11-times and has 151 graduates

პრაქტიკული ტრენინგები სოფლის მეურნეობაში

USAID-ის პროგრამასთან - დამსაქმებლები პროფესიული განათლებისთვის - პარტნიორობით, ფერმერებისა და რძის გადამამუშავებლებისთვის პრაქტიკული უნარების გაუმჯობესებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, სკოლამ ექვსი მოკლევადიანი ტრენინგ-პროგრამა დანერგა. მათგან ხუთი ავტორიზებული პროგრამაა და მსმენელები პროგრამების წარმატებით გავლის შემდეგ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატებს იღებენ. ეს პროგრამები მოქმედ და მომავალ ფერმერებს მსხვილფეხა ცხოველის მოვლის შესახებ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნასა და უნარებს უმყარებს.

1. მსხვილფეხა ცხოველთა მოვლა
2. მსხვილფეხა ცხოველთა კვება
3. მსხვილფეხა ცხოველის ჯანმრთელობა
4. საკვებწარმოება და აგრომექანიზაცია
5. საძოვრების მართვა და საკვების კონსერვირება
6. რძის გადამუშავება

2024 წელს აღნიშნული პროგრამები 11-ჯერ განხორციელდა და 151 კურსდამთავრებული ყავს.

EDUCATIONAL DAY: MAINTAINING NATURAL PASTURES

One-day educational thematic meetings are one of the outstanding directions in our partner school Plantahof, which contributes to the development of the sector and the introduction of news to farmers.

In scope of USAID project, in June 2024, we organized similar themed event for the first time. The topic of the day was – maintaining natural pastures. The objective of the event was to offer a communication platform to our alumni, potential trainees and industry representatives while simultaneously sharing educational information.

Thematic stands, including stands of input suppliers, were presented at the event. The participants had the opportunity to familiarize themselves with the presented equipment and ways of their correct use. About 50 participants attended the event.

ბუნებრივი საძოვრების მოვლის დღე

ერთდღიანი საგანმანათლებლო თემატური შეხვედრები ერთ-ერთი გამორჩეული მიმართულებაა ჩვენს პარტნიორ სკოლა პლანტაჰოფში, რაც სექტორის განვითარებას და ფერმერებისთვის სიახლეების გაცნობას უწყობს ხელს.

USAID-ის პროგრამის ფარგლებში, 2024 წლის ივნისში ჩვენმა სკოლამ პირველად ჩაატარა მსგავსი თემატური ღონისძიება - ბუნებრივი საძოვრების მოვლის დღე. ღონისძიების მიზანი იყო ჩვენი კურსდამთავრებულების, პოტენციური მსმენელებისა და ინდუსტრიის წარმომადგენლებისთვის საკომუნიკაციო პლატფორმის შეთავაზება და პარალელურად, საგანმანათლებლო ინფორმაციის გაზიარება.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო თემატური სტენდები, მათ შორის შესაბამისი მასალების მომწოდებლები. მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ წარმოდგენილ აღჭურვილობას და მათი სწორი გამოყენების გზებს. ღონისძიებას 50-მდე მონაწილე დაესწრო.

APPLIED SKILLS TRAINING CENTER

For uninterrupted implementation of the trainings, the school has built a new training center in Dmanisi, Sarkineti.

The one-story building with a stained-glass facade blends perfectly with the school's existing infrastructure and landscape. The training center, with a total area of 500 square meters, has an open concept, the spaces are separated from each other by light structures; the classrooms are divided by special acoustic curtains, instead of traditional walls, this makes the building multi-functional and flexible.

In September 2024, Prof. Dr. Monika Beutler - Vice President of the Gebert Ruf Stiftung, the main initiator and donor of the project - and Thomas Krayer, the author of the building's sketch, jointly opened the newly built training center, where a graduation ceremony for the 2024 graduates was held.

ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

მოკლევადიანი ტრენინგების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, სკოლამ დმანისში ახალი ტრენინგ-ცენტრი ააშენა.

ერთსართულიანი შენობა ვიტრაჟული ფასადით იდეალურად ერწყმის სკოლის არსებულ ინფრასტრუქტურასა და ლანდშაფტს. ტრენინგ-ცენტრი, საერთო ფართით 500 კვადრატული, ღია ტიპისაა, სივრცეები ერთმანეთისგან მსუბუქი კონსტრუქციებითაა გამიჯნული, ტრადიციული კედლების ნაცვლად აუდიტორიები სპეციალური აკუსტიკური ფარდებითაა შემოსაზღვრული, რაც შენობას მულტიფუნქციურს და მოქნილს ხდის.

2024 წლის სექტემბერში პროექტის მთავარი ინიციატორისა და დონორის Gebert Ruf Stiftung-ის ვიცეპრეზიდენტმა, მონიკა ბიუტლერმა და შენობის ესკიზის ავტორმა-თომას კრაიერმა ერთობლივად გახსნეს ახლადაშენებული ტრენინგ-ცენტრი, სადაც 2024 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომების გადაცემის ცერემონია გაიმართა.

CAREER GUIDANCE IN AGRICULTURAL VET

One of the main challenges is professional orientation of youth. Our goal is to help pupils independently choose a profession, taking into account their inclinations, interests, abilities, and development prospects. The school conducted summer camps with the support of the US Embassy's Vocational Education Support Program. Students and teachers lived on the school campus and, through fun and cognitive activities, learned about the main directions of Georgian agriculture: farming and dairy processing.

პროფესიული ორიენტაცია აგრარულ პროფესიულ განათლებაში

მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ მოზარდებს, დამოუკიდებლად აირჩიონ პროფესია საკუთარი მიდრეკილებების, ინტერესების, შესაძლებლობების და განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით. ამერიკის საელჩოს პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის მხარდაჭერით, სკოლამ ჩაატარა საინფორმაციო-შემეცნებითი საზაფხულო ბანაკები, სადაც მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შესაძლებლობა ჰქონდათ, ეცხოვრათ სკოლის კამპუსში და სახალისო-შემეცნებითი აქტივობებით გაცნობოდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის ძირითად მიმართულებებს: ფერმერობასა და რძის გადამუშავებას.

OTHER EDUCATIONAL ACTIVITIES

IN SEPTEMBER, the school held a one-day course on **THE ADVANTAGES OF ARTIFICIAL INSEMINATION**. The participants were smallholder farmers, Veterinarians, private sector representatives, Dmanisi ICC Extension Officers, teachers and students. The training aimed to provide participants with a general understanding of Cattle anatomy and physiology. It was implemented through practical training in a real work environment in Sarkineti.

Together with the "knowledge transfer" team, a representative of Swissgenetic, the largest artificial insemination material dealer in Switzerland, gave a practical demonstration during the course.

სხვა სასწავლო აქტივობები

სექტემბერში სკოლამ ჩაატარა ერთდღიანი კურსი **ხელოვნური განაყოფიერების უპირატესობებზე**. კურსის მონაწილეები იყვნენ წვრილი ფერმერები, ვეტერინარები, კერძო სექტორის წარმომადგენლები, დმანისის ექსტენციონისტები, პროფესიული მასწავლებლები და სტუდენტები. ტრენინგის მიზანი იყო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ანატომიის და ფიზიოლოგიის გაცნობა მშობიარობიდან დაბადებამდე. კურსი სარკინეთში რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკულად ჩატარდა.

„ცოდნის ტრანსფერის" გუნდთან ერთად, Swissgenetic-ის (ხელოვნური განაყოფიერების მასალების უმსხვილესი დილერი შვეიცარიაში) წარმომადგენელი კურსის პრაქტიკულ ნაწილს გაუძღვა.



THE SCHOOL HELD TWO ONLINE WEBINARS ON:

- **MAIN INFECTIOUS AND PARASITIC DISEASES OF CATTLE IN GEORGIA**
- **CHEESE STORAGE AND CARE**

Participants had the opportunity to ask questions that were interesting to them and get answers. We observe great interest in the webinars and the issues discussed.

Using live-streaming equipment, the school has developed digital educational resource on the topic: milk and milk hygiene
Another digital resource will be created in 2025 regarding the interventions in farm animals

The school actively runs orientation meetings for potential students from Kvemo Kartli. The pupils of grades 9-12 and their teachers get to know the school and the educational programs.

The school conducted milk processing training twice this year for beneficiaries of the Safety and Quality Investment in Livestock (SQIL) project.



სკოლამ გამართა ორი ონლაინ ვებინარი თემაზე:

- **პირუტყვის ძირითადი ინფექციური და პარაზიტული დაავადებები საქართველოში**
- **ყველის შენახვა და მოვლა**

მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დაესვათ მათთვის საინტერესო კითხვები და მიეღოთ პასუხები. ჩვენ გვახარებს დიდი ინტერესი ვებინარებისა და განხილული საკითხების მიმართ.

Livestream-ის მოწყობილობების გამოყენებთ, სკოლამ შეიმუშავა ციფრული საგანმანათლებლო რესურსი თემაზე: წველა და წველის ჰიგიენა. დამატებით კიდევ ერთი საგანმანათლებლო რესურსი შემუშავდება 2025 წელს, თემაზე - ინტერვენციები სასოფლო-სამეურნეო ცხოველებში.

პოტენციური სტუდენტებისათვის სკოლა აქტიურად ატარებს საორიენტაციო შეხვედრებს ქვემო ქართლში. 9-12 კლასის მოსწავლეები და მათი მასწავლებლები ეცნობიან სკოლასა და საგანმანათლებლო პროგრამებს.

პროექტის ''ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში'' ბენეფიციარებისთვის სკოლამ წელს ორჯერ ჩაატარა რძის გადამუშავების ტრენინგი.



ALUMNI SUPPORT FUND

By the end of 2023, the school's founders established the ALUMNI SUPPORT FUND. The fund aims to support our school's graduates in developing their agricultural production facilities. Graduates have the opportunity to apply to us for financial support periodically. The applications must comply with the business plan developed during the their study process with support of the school.

With the support of the Alumni Support Fund and the USDA Food for Progress SQIL project, SANDRO DIDEBASHVILI started work on producing whey-based cosmetics and self-care products using milk whey. These products are distinguished by their high quality, environmental friendliness, and positive impact. The project is an entirely new and innovative product for the Georgian market. Processing the residual product left after cheese production will increase the value chain of the milk sector. A small production facility will be arranged on the school premises for this purpose.

Our graduates NINO AKHALADZE AND GIORGI BLAGIDZE decided to develop a micro-farm for livestock in the village of Sarkineti, for which they purchased local breeds of cattle and small inventory with the support from SASC. They supply the milk to the school's dairy.

In August, the Plantahof Alumni Association visited the school and symbolically donated a starting capital of 1,000 Swiss francs to our school's newly established Alumni Association. The school believes that the existence of an Alumni Association is very important for the future careers of graduates. The school itself has contributed to the formation of this association, and Swiss consultants were also involved in the process of developing the association charter.

კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ფონდი

2023 წლის ბოლოსთვის სკოლის დამფუძნებლებმა დააარსეს **„კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის ფონდი“**, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულებს საკუთარი წარმოებების განვითარებაში. კურსდამთავრებულებს პერიოდულად საშუალება აქვთ მოგვმართონ ფინანსური მხარდაჭერის მიღებისათვის. მათი განაცხადები უნდა შეესაბამებოდეს სკოლაში სასწავლო პროცესის ფარგლებში მათ მიერ წარმოდგენილ ბიზნეს-გეგმას.

ფონდის კონკურსის შედეგად სკოლამ დააფინანსა ორი კურსდამთავრებულის: სანდრო დიდებაშვილისა და ნინო ახალაძის სამეწარმეო იდეები.

სანდრო დიდებაშვილმა ფონდისა და ასევე USDA Food for Progress SQIL პროექტის გრანტის მხარდაჭერით დაიწყო შრატის გამოყენებით შექმნილი კოსმეტიკური და თავის მოვლის საშუალებების წარმოებაზე მუშაობა. რძის შრატის გამოყენებით შექმნილი კოსმეტიკური და თავის მოვლის საშუალებები გამოირჩევა უმაღლესი ხარისხით, არის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი და აქვს დადებითი მოქმედების მაღალი მაჩვენებელი. ეს საქართველოს რეალობისთვის სრულიად ახალი პროდუქტის წარმოებაა. ყველის წარმოების შემდეგ დარჩენილი ნარჩენი პროდუქტის გადამუშავება გაზრდის რძის სექტორის ღირებულების ჯაჭვს. ამ მიზნით მინი საწარმო ჩვენი სკოლის ტერიტორიაზე განთავსდება.

კურსდამთავრებულებმა **ნინო ახალაძემ და გიორგი ბლაგიძემ** სოფელ სარკინეთში მესაქონლეობის მიკრო ფერმის განვითარება გადაწყვიტეს, რომლისთვისაც ადგილობრივი ჯიშის საქონელი და მცირე ინვენტარი სკოლის დახმარებით შეიძინეს. ისინი მიღებულ რძეს სკოლის რძის საწარმოს აწვდიან.

აგვისტოში სკოლას პლანტაჰოფის კურსდამთავრებულთა ასოციაცია ესტუმრა და ჩვენი სკოლის ახლადდაარსებულ კურსდამთავრებულთა ასოციაციას სიმბოლურად სასტარტო კაპიტალი -1000 შვეიცარიული ფრანკი აჩუქა. სკოლა თვლის, რომ კურსდამთავრებულთა ასოციაციის არსებობა კურსდამთავრებულთა მომავალი კარიერისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. თავისთავად, სკოლამ თავისი წვლილი შეიტანა ამ ასოციაციის ჩამოყალიბებაში, წესდების შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ, ასევე, შვეიცარიელი კონსულტანტებიც.

FARM

Currently, our farm has about 80 head of cattle, including calves and dry animals. The recent developments in the farm are very positive, herd health and fertility is stabilized, forage production is brought to the good standard and we received an average lactation which is 3 times higher than the average in the country. This year we had first results from our demonstration plots and by sowing grass mixes we achieved significantly prolonged "Green season" on the natural pastures.



ფერმა

ამჟამად ჩვენს ფერმაში დაახლოებით 80 სული პირუტყვია, ხბოებისა და მშრალი ცხოველების ჩათვლით. ფერმის ბოლო წლის მუშაობის შედეგები ძალიან პოზიტიურია, ნახირის ჯანმრთელობა და ნაყოფიერება დასტაბილურდა, საკვების წარმოება მაღალ სტანდარტზეა აყვანილი და მივაღწიეთ საშუალო ლაქტაციას, რომელიც 3-ჯერ აღემატება ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. წელს ასევე მივიღეთ პირველი შედეგები ჩვენი სადემონსტრაციო ნაკვეთებიდან და ბალახნარევების შეთესვით მივაღწიეთ მნიშვნელოვნად გახანგრძლივებულ ,,მწვანე სეზონს'' ბუნებრივ საძოვრებზე.

CHEESE DAIRY

The cheese dairy is currently managed by Georgian specialist and we employee our graduates in the production as well.

Currently our assortment consists of 10 different product varieties, the factory slowly switched to production of shorter-term products (Camembert, Mutschli, butter, drinking milk, etc.) in order to optimize the work process in the factory. The dairy has a storage of 4 t high quality mountain cheese.

THE SALES TURNOVER INCREASED BY 10% IN 2024.

ყველის საწარმო

ყველის ქარხანას ამჟამად ქართველი სპეციალისტი მართავს და საწარმოში ჩვენივე კურსდამთავრებულები მუშაობენ.
ამჟამად ჩვენი ასორტიმენტი 10 სხვადასხვა ტიპის პროდუქტისგან შედგება. ქარხანა ნელ-ნელა გადავიდა უფრო მოკლევადიანი პროდუქციის წარმოებაზე (კამემბერი, მუჩლი, კარაქი, სასმელი რძე და ა.შ.) რათა მუშაობის პროცესის ოპტიმიზაცია მოხდეს. ამჟამად საცავში 4 ტონა მაღალი ხარისხის მთის ყველი გვაქვს დასაწყობებული.

2024 წელს გაყიდვებიდან შემოსავალი 10%-ით გაიზარდა.

MARGALITI

Margaliti is our school's conceptual cafe, which will be opened up on Tbilisi's central avenue in 2025. Customers will have the opportunity to taste sandwiches, pizza, and pastries made with products from our schools' cheese dairy

მარგალიტი

მარგალიტი ჩვენი სკოლის კონცეპტუალური კაფეა, რომელიც თბილისის ცენტრალურ გამზირზე 2025 წელს გაიხსნება. მომხმარებელს საშუალება ექნება, ჩვენი სკოლის ბაზაზე დამზადებული პროდუქტებით წარმოებული სენდვიჩები, პიცა და საკონდიტრო პროდუქცია დააგემოვნოს.

TEACHERS' HOUSE

In order to ensure long-term visits of teachers, an additional teachers' house was built in 2024. The house can accommodate 12 persons. The shell building is already complete, the interior work will start in 2025.

მასწავლებელთა სახლი

მასწავლებლების გრძელვადიანი ვიზიტების უზრუნველსაყოფად სკოლამ 2024 წელს დამატებით 12 ადამიანზე გათვლილი მასწავლებელთა სახლი ააშენა. სახლის კონსტრუქციული ნაწილი დასრულებულია, შიდა სამუშაოები 2025 წელს დაიწყება.



MEDIA PRESENCE

Georgian and Swiss media actively cover the development of the college. Various Georgian channels prepared stories about the life of students in the college, learning process and future plans.

RTR Telesguard produced a 50 minute long documentary movies, that was in production during 2 years. The premiere of a movie “Plantahof for Georgia” was in January 2024, in Plantahof.

მედია

ქართული და შვეიცარიული მედია აქტიურად აშუქებს სკოლის საქმიანობას. უკვე რამდენიმე ქართულმა სატელევიზო არხმა მოამზადა სიუჟეტი სკოლაში სტუდენტების ცხოვრების, სასწავლო პროცესისა და ჩვენი სამომავლო გეგმების შესახებ.

შვეიცარიულმა მაუწყებელმა - RTR Telesguard-მა გადაიღო 50 წუთიანი დოკუმენტური ფილმი სკოლის შესახებ, რომლის გადაღებები 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. ფილმის ,,პლანტაჰოფი საქართველოსთვის'' პრემიერა 2024 წლის იანვარში პლანტაჰოფში შედგა

CAUCASUS
SWISS AGRICULTURAL SCHOOL

2025
Rustaveli ave, 52, Tbilisi, Georgia / Dmanisi
Municipality, village Sarkineti
www.sasc.ge